

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №5 მაისი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იოგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

1 მაისი — ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

აღდგომა 12 საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვებისაგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ოთხივე სახარების თანახმად, დვთისმშობლისაგან უბიწოდ შობილი ქრისტეს ჯვარცმა პარასკევს აღესრულა. ეს უდიდესი მწუხარების დღეა ნებისმიერი მორწმუნესათვის. თუმცა მესამე დღეს — კვირას მწუხარებას სიხარული ენაცვლება და ქრისტიანები მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას ზეიმობენ.

ქრისტე აღსდგა! მხსნელი გამოჩნდა ყველასთვის, დიდება და მადლობა შენდა, უფალო!

გიმნაზიის მოსწავლეების მიერ შესრულებული საღდგომო ნახატები

21 მაისი – ამაღლება უფლისა იესო ქრისტესი

აღდგომის მეორმოცე დღეს უფალი იესო ქრისტე უკანასკნელად გამოეცხადა მოციქულებს, უბრძანა არსად წასულიყვნენ იერუსალიმიდან, რადგან თუ იოანე ნათლავდა წყლით, მოციქულები სულიწმიდით უნდა მონათლულიყვნენ. მოწაფეებს აინტერესებდათ, თუ როდის აღუდგენდა უფალი ისრაელს სამეფოს. იესომ აუხსნა, რომ დღეთა და წელთა ცოდნა, რომელიც მამა ღმერთმა დაადგინა, არ იყო მათი საქმე. მიიღებდნენ რა განსაკუთრებულ ძალას მოციქულები, როცა სულიწმიდა გადავიდოდა მათზე, ისინი უნდა გამხდარიყვნენ ქრისტეს მოწმენი მთელ იუდესა და სამარიაში ქვეყნის დასასრულამდე.

დაასრულა თავისი სათქმელი და იესო მათ თვალწინ ამაღლდა და ღრუბლებს მიეფარა. მოწაფეები ცას შეჰყურებდნენ, როცა ორი კაცი გამოეცხადა თეთრი სამოსით და აუწყა მათ: „კაცნო გალილეველნო, რაითა სდგათ და ჰხედავთ ზეცად? ესე იესუ, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“.

6 მაისი — გიორგობა

წმიდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში.მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებული დედა კაბადოკიიდან თავის სამშობლოში წავიდა. იქ განაგრძო შვილის ქრისტიანულად აღზრდა. ცნობილია, რომ ის წმიდა ნინოს ნათესავი იყო, დიდგვაროვანი ოჯახის შვილი, თვითონაც მორწმუნე, მდიდარი, ჭკვიანი, ლამაზი და დიდი ვაჟკაცი იყო. მან ისე გამოიჩინა თავი, რომ რომის იმპერატორმა დიოკლიტიანემ თავის მხედართმთავრად დანიშნა. თვითონ დიოკლიტიანეს სძულდა ქრისტიანები. მეფობის ბოლოს მან ქრისტიანებს დევნა დაუწყო, იჭერდა და ხოცავდა მათ.

ეს რომ წმიდა გიორგიმ გაიგო, მივიდა იმპერატორთან და გამოუცხადა, რომ თვითონაც ქრისტიანი იყო. დიოკლიტიანემ სცადა მისი გადაბირება, მაგრამ ვერაფერი გააწყო. სასტიკად განრისხებულმა, წამება დაუწყო წმიდა გიორგის, მაგრამ ამ წამების დროს იმდენი სასწაული ხდებოდა, რომ მისმა მნახველმა უამრავმა ადამიანმა ირწმუნა ქრისტე.

303 წლის (23 აპრილს) 6 მაისს, პარასკევ დღეს ის მახვილით მოკლეს.

წმიდა გიორგი განსაკუთრებულად უყვართ საქართველოში, სადაც მას მრავალი სასწაული მოუხდენია.

9(22) მაისი — ნიკოლოზობა. აღმოყვანება პატიოსანთა ნაწილთა წმიდისა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედისა მირონიდან ქალაქ ბარში

წმინდა ნიკოლოზი მშვიდობით მიიცვალა 345-351 წლებში. მისი მირონმდინარე წმინდა ნაწილები დიდხანს მირონის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული და მასთან მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულებოდა.

XI საუკუნეში საბერძნეთის იმპერიას მძიმე ჟამი დაუდგა. თურქებმა დაარბიეს მცირე აზია. ხალიფამ კუნძულ როდოსის გასაძარცვავად გაგზავნა თავდასხმის ფლოტის მეთაური ჰუმეიდი. ჰუმეიდი მირონ-ლუკაში გაემგზავრა წმიდა ნიკოლოზის სარკოფაგის დარბევის მიზნით, მაგრამ შემთხვევით მის გვერდით მდებარე სამარხი

შემუსრა. როგორც კი მკრეხელები გემზე ავიდნენ, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ყველა ხომალდი ჩაიძირა.

სიწმინდეების შებილწვამ აღაშფოთა არა მარტო აღმოსავლელი, არამედ დასავლელი ქრისტიანებიც. ადრიატიკის ზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქ ბარის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს წმიდანის წმიდა ნაწილების გამოხსნა.

1087 წელს ბარელი და ვენეციელი ვაჭრები ანტიოქიაში გაემგზავრნენ სავაჭროდ. მათ სურდათ, მობრუნებულზე იტალიაში წაესვენებინათ წმიდანის ნეშტი. მირონ-ლუკიაში პირველნი ჩავიდნენ ბარელები. შეიარაღებული ორმოცდაშვიდი კაცი გაემგზავრა წმიდა ნიკოლოზის ტაძრისკენ. ბერებს არაფერში შეპარვიათ ეჭვი და მშვიდად ანახეს მოგზაურებს წმიდა ნიკოლოზის სარკოფაგი. მანამდე ერთ ბერს წმიდა ნიკოლოზი გამოეცხადა და მოუწოდა, უფრო ფრთხილად დაეცვათ მისი ნაწილები. ვაჭრებმა ბერებს თავიანთი გადაწყვეტილება განუცხადეს და გამოსასყიდად სამასი ოქროს მონეტა შესთავაზეს. დარაჯებმა ფულზე უარი განაცხადეს და თანამოქალაქეების გასაფრთილებლად გაიქცნენ, მაგრამ ბარელებმა კარებთან დაიჭირეს ისინი, შეკრეს და დაანგრიეს ფიცარნაგი, რომლის ქვეშაც სამარხი იყო. ბარელებმა ნახეს, რომ სარკოფაგი კეთილსურნელოვანი მირონით იყო სავსე. ეს მოხდა 1987 წლის 20 აპრილს.

წმიდანის ნაწილები მოწიწებით გადაასვენეს ხომალდზე.

8 მაისს ხომალდი ქალაქ ბარს მიადგა. მეორე დღეს, 9 მაისს წმიდა ნიკოლოზის მირონმდინარე ნაწილები ზეიმით გადაასვენეს წმიდა სტეფანეს სახელობის ტაძარში. ნაწილთა გადასვენებისას მრავალი სასწაულებრივი კურნება მოხდა. ერთი წლის შემდეგ აშენდა წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელიც აკურთხა პაპმა ურბან II-მ.

12 მაისი — ხსენება წმიდისა და ყოვლადქებულისა ანდრია პირველწოდებულისა



12 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ანდრიას უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომაც ეწოდა პირველწოდებული, მაცხოვრის პირველი მოციქული.

უფლის მოციქული პირველად ქართლის ტერიტორიაზე, დიდაჭარაში შემოვიდა, მას თან ჰქონდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ხელთუქმნელი ღვთისმშობლის ხატი.

წმიდა მოციქული ანდრია საბერძნეთის ქალაქ პეტრაში ჯვარზე დაკიდებული აღესრულა. მის ხსენებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ორჯერ აღნიშნავს 12 მაისსა და 13 დეკემბერს.

26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს.

1917 წლის რუსეთში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციას მონარქიის დამხობა და იმპერიის დაშლა მოჰყვა. საქართველოში ამავე პერიოდში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც ქვეყანას მართავდა. ეროვნული საბჭოს დადგენილებით, 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ აირჩიეს ნოე ჟორდანია.

1918 წლის 26 მაისს მიღებული იქნა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი.“

დარჩნენ რა თავის ძალ-ღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს შეძლო დიდი მსხვერპლის გაღებით. რუსის ჯარმა ცრემლსადენი გაზითა და ორლესული ნიჩბებით დაარბია მშვიდობიანი მომიტინგეები. ამ შეტაკებას 21 ახალგაზრდა შეეწირა, უმეტესობა ქალები. მომავალ თაობას მუდამ გვემახსოვრება დაღუპული გმირები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას შეეწირნენ.

მოამზადა თემო ბუჩუკურმა.
გიმნაზიის X კლასის მოსწავლე

9 მაისი — 1941-1945 მოხევეები დიდ სამამულო ომში

1941-1945 წლებში დიდმა სამამულო ომმა მოუშუშებელი ჭრილობა დაუტოვა ჩვენს პატარა ჟაზბეგის რაიონს. ჩვენი რესპუბლიკის ამ ყველაზე პატარა კუთხემ რვაასამდე რჩეული ვაჟკაცი გაისტუმრა ფრონტზე, საიდანაც 245-ზე მეტი აღარ დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს.

ომის ხანძრიანმა გზებმა საღ არ ატარა აწ განსვენებული გერგეტელი ვაჟკაცი ასეთინ წიკლაური და მისი მეუღლე — ქალბატონი მარიამი. სახელმოხვეჭილი ტანკისტი არჩილ გიგაური მეხად ედებოდა ფაშისტურ ურდოებს.

სამამულო ომში ფრონტებზე ბევრ დაჭრილ მეომარს შეუნარჩუნეს სიცოცხლე მოხევე ექიმებმა — ნატალია კახალიკაშვილმა, ვერა გიგაურმა, მარკოზ ალიბეგაშვილმა, ნინო ავსაჯანიშვილმა და სხვებმა. მტრის ზურგში ჰიტლერელებს მუსრს ავლებდნენ უშიშარი პარტიზანები — შალვა კობიაშვილი და გოგი ქირიკაშვილი. საბჭოთა ქვეყნის დასავლეთი საზღვრის ხელშეუხებლობას იცავდნენ ჟაზბეგელი ძმები — სტეფანე, ისიდორე და ალექსი კახალიკაშვილები, სნოელი შალვა და ვლადიმერ ხართაშვილები, კარკუჩელი სიმონ მარსაგიშვილი, ტყარშეტელი ნიკოლოზ მაისურაძე, თოთელი დავით სალბიევი, ახალციხელი არსენ და სოლიკო ქერაშვილები, ცდოველი შალვა, ფარსადან და არსენ წიკლაურები. მოსკოვის მისადგომებთან მტერს მედგრად ებრძოდნენ პავლე ქავთარაშვილი, ვანო ფიცხელაური, აბრამ ღუდუშაური, ვანო და ალექსანდრე ჩქარეულები. ქერჩის ნახევარკუნძულზე საზენიტო ბატარეის ხელმძღვანელები იყვნენ კომისარი პოეტი ალექსი გომიაშვილი, ლენინგრადის გმირულ დაცვაში იბრძოდნენ ბუთუ ქავთარაშვილი, შალვა ავსაჯანიშვილი, ვანო წიკლაური, ჭრელა და ზელიმხან ელოშვილები. ავიაციის ძალებს ანადგურებდნენ მფრინავ-გამანადგურებლები საბჭოთა კავშირის გმირი კობლოვი, პოლკოვნიკი ვანო სუჯაშვილი, ანდრო კვირჭიშვილი და კაპიტანი ვიქტორ ღუდუშაური.

სტალინგრადის ბრძოლებში თავი ისახელეს ანდრო შადურმა, ილია გელაშვილმა, ფიდო გოგიშვილმა, ილო სუჯაშვილმა, თინა ელიაძემ, ნუცა ღუდუშაურმა.

ომის მძიმე ტვირთი მხრებით ზიდეს ანდრო ფაჯიშვილმა, ტარასი ბაზალმა, გიორგი ქირიკაშვილმა, გიგო და კოტე ჩაბაკაურებმა.

აი, არასრული სია იმ მოხევე რვაასი ვაჟკაცისა, რომლებიც დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩადგნენ სამშობლოს დამცველთა რიგებში.

მოგვიტეონ მათ, ვისი სახელიც ვეღარ გავიხსენეთ. სიყვარულსა და პატივს მივაგებთ ყველას, ვინც ვაჟკაცურად ერკინებოდა მტერს, „ვინც სისხლი დაღვარა, ვინც თავი გასწირა“.

მოამზადა გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე
მარიამ ბაკურაძემ

„საქართველო და ევროკავშირი“

ევროპის დღეებთან დაკავშირებით, პროექტის „საქართველო და ევროკავშირი ფარგლებში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე და სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორი ქეთევან ჩაჩავა სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში იმყოფებოდნენ. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შეხვედრა სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან. შეხვედრაზე ევროპულ ღირებულებებზე, საქართველოს ევროინტეგრაციის მნიშვნელობასა და მიმდინარეობაზე იმსჯელეს.

„სააღდგომო ფესტივალი 2016“

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიამ 2016 წლის 3-4 მაისს ჩაატარა ყოველწლიური სააღდგომო ფესტივალი, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ საქართველოს საპატრიარქოს სკოლები. ეს მოწვევა ჩვენმა გიმნაზია-პანსიონმაც მიიღო და დიდი სიხარულით შევუერთდით ამ ფესტივალს და მათთან ერთად აღვნიშნეთ და გავიზიარეთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის სიხარული.

ზუგდიდელები თბილად შეგვხვდნენ. გიმნაზიის მასწავლებელმა ანა წურწუმიამ საკუთარ ოჯახში გვიმასპინძლა, რისთვისაც მას და მის ოჯახს უღრმეს მადლობას ვუხდით.

4 მაისის დილის 10 საათზე ზუგდიდის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში მოვილოცეთ ღვთისმშობლის კვართი. შემდეგ გადავინაცვლეთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც ჩატარდა საპატრიარქოს სასწავლებლების მხატვრულ-შემოქმედებითი კონცერტი და სააღდგომო ნახატებისა და ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა.

მანამდე, ჩვენი გიმნაზია-პანსიონის ფერწერის წრის მასწავლებლების, წრის ხელმძღვანელის ლონდა მაისურაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა გიმნაზია-პანსიონში სააღდგომო ნახატების გამოფენა, საიდანაც ამოვარჩიეთ 6 საუკეთესო ნახატი, რომლებიც ზუგდიდში გამოფენაზე წარვადგინეთ, ჩვენმა ნახატებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ჩვენი ნახატები შევწირეთ ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიას, რომელიც პერიოდულად აწყობს საქველმოქმედო აქციას და გაყიდული ნახატებისა და ნაკეთობებიდან შემოსული თანხით ეხმარებიან ხელმოკლე ოჯახებს.

დღემ ძალიან ნაყოფიერად ჩაიარა. კმაყოფილები და გახარებულები დავბრუნდით ხევში.

კიდევ ერთხელ, დიდი პატივისცემითა და მოწიწებით გვინდა მადლობა გადავუხადოთ ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მიტროპოლიტ გერასიმეს, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის დირექტორს, ქალბატონ მანანა ნაჭყებიას, მასწავლებელს ანა წურწუმიას გულთბილი მიღებისთვის.

ეთერ პაპიაშვილი
დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო საქმიანობაში

სტიქაროსნის ვალდებულებები ღვთისმსახურებაში

გარდა ეპისკოპოსისა, მღვდლისა და დიაკონისა, ეკლესიაში დადგენილნი არიან აგრეთვე უფრო დაბალი რანგის მსახურნი; მათ შორის აღსანიშნავია სტიქაროსნები. დღევანდელ ეკლესიაში სტიქაროსნების ფუნქცია გაზრდილია. მათ შეთავსებული აქვთ იპოდიაკვნისა და მნათის ფუნქციები.

იპოდიაკვანი ანუ „ქვემდგომი დიაკონი“, მხოლოდ სამღვდელმთავრო მსახურებაში მონაწილეობს. იგი შემოსავს ეპისკოპოსს სამღვდელმთავრო შესამოსელით, უკავია სასანთლეები (სამსანთელა და ორსანთელა) და აწვდის მათ მღვდელმთავარს მორწმუნეთა კურთხევისათვის და სხვა.

მნათე, მორწმუნეებს ღვთისმსახურებაზე მოუწოდებს ზარების რეკვით, ტაძარში ანთებს სანთლებსა და კანდელებს, თვალყურს ადევნებს წესრიგს ტაძარში და ა. შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იპოდიაკვნისა და მნათის ფუნქციები დღეს შეთავსებული აქვს სტიქაროსანს, რითაც გაზრდილია როგორც მათი ვალდებულებები, ისე მათი პასუხისმგებლობა ღვთისმსახურებაში.

სტიქაროსნის შესამოსელს წარმოადგენს სტიქარი.

სტიქარი არის გრძელი სამოსი, რომელსაც განიერი სახელოები აქვს. იგი აცვია იპოდიაკონსაც. მისი ტარების უფლება აქვს მედავითნესაც, მნათესაც და ტაძარში მომსახურე ერისკაცებსაც. იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფერის, გვერდებში ჩაჭრილი — მკლავის ქვედა მხრიდან წელამდე, იესო ქრისტეს განგმირული გვერდის მოსახსენებლად.

სტიქარი განასახიერებს სულის სიწმინდეს, რომელიც ღვთისმსახურთ უნდა ჰქონდეს.

მოამზადა გიმნაზიის IX კლასის მოსწავლემ
სტიქაროსანმა გიორგი ბუწუკურმა

ანამ კვლავ გვასახელა

19 მაისს თბილისში ჩატარდა ფესტივალი კლდეზე ცოცვაში. გიმნაზიის VI კლასის მოსწავლემ ანა კაზალიკაშვილმა კვლავ გვასახელა. მან დამაჯერებელი წარმატებები მოიპოვა თავისზე უფროსი ასაკის მოსწავლეებში. 2002-2004 წლის ასაკის ბავშვებში აიღო მე-2 ადგილი, თექვსმეტწლიანებში კი მე-3 ადგილზე გავიდა და დაჯილდოვდა დიპლომით, პრიზითა და ფასიანი საჩუქრით.

ვულოცავთ ანას გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

„გამოსცადე შენი თავი“

გიმნაზია პანსიონის მე-6 კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს პროექტში „გამოსცადე შენი თავი“. პროექტის ხელმძღვანელი ნატა თექთურმანიძე. პირველ ადგილზე გავიდა თამუნა ქუშაშვილი, მე-2 ადგილზე — ანა კაზალიკაშვილი, მე-3 ადგილი დაიკავა ანი გელაძემ. გამარჯვებულ პირველ ადგილზე გასულ თამუნა ქუშაშვილს გადაეცა საჩუქარი.

ანბანის გაცილება გიმნაზიაში

მასწავლებელი მაია ფიცხელაური

იმას შვილად ვერ მივიღებ,
წინაპრების აკვანს სწვავდეს,
სირცხვილი იმ გუთნისდედას,
თავის მამის საფლავს ხნავდეს.

იეთიმ გურჯი

ვისი გორისა ხარ

შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა. შვილს გამოკვლეული უნდა ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი — ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხოროუმო სპილოს ეგვანება. დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება.

ილია ჭავჭავაძე

წიკლაურები: ისტორია

გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე მარიამ წიკლაურის სურვილია თავისი გვარის შესახებ მეტი იცოდეს. საიდან არის წარმოშობილი მისი გვარი, სად უცხოვრიათ მის წინაპრებს და როგორ დასახლებულან ისინი ხევში. მან ამისათვის გამოიყენა გერგეტის მკვიდრის შოთა წიკლაურის მოძიებული მასალა.

ბეწინა ხირჩლას ძე წიკლაურმა თავისი სიცოცხლის ბოლო წლები მიუძღვნა იმის აღწერას, რაც არხოტიონთა მეხსიერებამ შემოინახა და რაც ზეპირსიტყვიერად თაობიდან თაობას გადმოეცემოდა.

პირველი წიკლაური, რომელიც არხოტში დასახლდა, იყო ფაფარენელი თურმანის შვილი ბერდი წიკლაური. ბერდის ამღაში ქვისლი ჰყავდა. ქვისლებს ერთმანეთი ძმებივით უყვარდათ. ერთმანეთს ხშირად სტუმრობდნენ, ერთად დადიოდნენ ჯიხვებზე სანადიროდ. ნადირობისა და ვაჭკაცობის მოყვარულ ბერდის იზიდავდა არხოტიონთა მკაცრი და მტრიანი ცხოვრება, მათი მიუვალი საჯიხვეები. დებსაც ერთმანეთისკენ მიუწევდათ გული. ბოლოს ბერდიმ გადაწყვიტა არხოტში გადასახლება. წასვლის წინ მას მამის შინშა კიბალაურმა ურჩია არ წასულიყო უცხო თემ-სოფელში, სადაც ჭირსა და ლხინში მხარდამჭერი და გვერდზე მდგომი არ ეყოლებოდა, მაგრამ ბერდიმ არ დაიშალა. მხნე და გულად ბერდის პირადი მტრობა-ქიშპობა არ ანადვლებდა. ამღას იყიდა ადგილ-მამული, გამართა სახლ-კარი და არხოტიონთა მძიმე და ფათერაკიან ცხოვრებას ეზიარა. მაშინ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე რომ ბერდი არხოტში სათავეს დაუდებდა ბერდიშვილთ მრავალრიცხოვან და სახელოვან მამიშვილობას, ხოლო სხვადასხვა გვარის ამღივნები მის გვარს მიიღებდნენ.

იმ დროს ამღაში ცხოვრობდნენ ამღის ძირძველი მკვიდრნი ჭოლიკაურების (გატუსვილანი), უთურგიანი (შუღლიანი), ახალანი, ჩინგლანი (ბახალაურები), ქარჩანი (თუშეთიდან მოსული კიკიძეები)... ბერდის ქვისლი უთურგიათ მამიშვილობისა იყო. უთურგიათ მამიშვილობა ცნობილი ყოფილა სამართლიანობით, გულადობითა და პურადობით.

„ამღას უთურგის ციხეო, წვერი ცას მიგიწვდებოდა,
ნეტავ შენ, უთურგის შვილო, ყანა არ მაგიცდებოდა,
მკერდიან-დუმაიანი ტაბლა არ გაგიცდებოდა,
ამავალ-ჩამომავალი მწყემსი, მუშაი ძღებოდა“.

„ამღას უთურგის ციხეო, წვერი გაქვ ხამუთიანი,
პატრონ გყავ თამარიზეი სტუმართად ნამუსიანი“.

ამღივნები ყოველწლიურად საზღვნელად (საკლავების დასაკლავად) და სალოცავად დიდ-პატარიანად საამღოს დადიოდნენ. საამღო მთების იქით, ქისტების მხარესაა, შავანის ხეობას დაჰყურებს. ამაზე თურმე იქაური ქისტები ჯავრობდნენ — ჩვენს მხარეზე რატომ გადმოდიან, ეტყობა ადგილის წართმევა უნდათო. ახალდასახლებული ბერდი აქტიურად ჩაერთო სოფლის ყოფა-ცხოვრებაში და როცა ამღივნები საძღვნელად წავიდნენ, ისაც თან გაჰყვა.

ადგილზე დაბანაკებულ მეძღვნეებს იქაურმა ქისტებმა ისრის სროლით შემოუტიეს. ამღივნებმაც ისრითვე უპასუხეს. ორივე მხარეს გაჩნდნენ დაჭრილები და დახოცილები. ბოლოს ისარი ორივე მხარეს შემოელია. ქისტებს სოფელი ახლოს ჰქონდა, თანაც ერთი თეთრი ცხენი ჰყავდათ, რომელსაც ხელს აუქნევდნენ და სოფლისკენ გააგდებდნენ. ცხენს სოფელში ისრით დატვირთავდნენ და ერთი კაციც გამოჰყვებოდა. ასე მოსდიოდათ ქისტებს ისარიც და დამხმარეც. — ერთი ისარი მაინც არავის დაგრჩათო — უთქვიათ — რომ ეგ ცხენი მოგვეკლაო. ახალათ ნებიერასდა ჰქონია ერთადერთი ცალფრთიანი ისარი. არ ვიცი რას იზამსო, უთქვია ნებიერას, მე კი ვეცდებიო და უსვრია. ისარი ცხენს კისერში მოხვედრია და მოუკლავს. შემორჩენილია იმ დროინდელი ლექსის ფრაგმენტები:

„საამღოს მეჯვარობესა დღე დაუბნელდა მზიანი,
შამარბის არჟილის ცხენი, განზე მახტების ტიალი,
ცხენო, დაგვლიენ, რემაო, თავსაც მით უყავ ზიანი,
ჩაუხედ, ნებიერაო, მშვილდი აჭექე რქიანი...“

ცხენის მოკვლამ მდევარი შეაფერხა, მაგრამ ცოტა ხანში ქისტებმა ისევ დააპირეს ისრის სასროლ მანძილზე დაახლოება. საშველი არსაიდან ჩანდა. ამ დროს ბერდი თანდათანობით ჩამორჩა წინ მიმავალ ხალხს და ქისტების შეუმჩნევლად კლდეებში ჩასაფრდა. ქისტები როცა ბერდის საფარს მოადგნენ, ბერდი მოულოდნელად ხმალდახმალ გადაერია მათ რაზმში. ვისაც მისწვდა მარცხნივ და მარჯვნივ — აკაფა, იქამდის ჩეხდა, სანამ თვითონაც არ მოკლეს ისრით. ქისტებს დევნის სურვილი დაეკარგათ, თავისი დაჭრილები და მკვდრები ჰყავდათ მისახედი. გადარჩენილმა ამღივნებმა უკვე უსაფრთხოდ გადმოიარეს მთა. ბერდიმ თავისი სიცოცხლის ფასად ბევრი თანასოფლელის სიცოცხლე იხსნა. თანაც, ეს იყო ყველაზე სახელოვანი გმირობა — მტრის ჯარში ხმალდახმალ შევარდნა, თავგანწირვა მოძმის გადასარჩენად.

ასე, გმირულად დასრულდა ბერდის ხანმოკლე სიცოცხლე. თუმცა ღმერთს არ ენება ბერდის თესლის დალევა — ბერდის დაქვრივებული ცოლის სხეულში ბერდის გვარის გამგრძელებელი ფეტქვადა.

შემდეგ ნომერში მოგითხრობთ, როგორ გადმოსულან არხოტიდან წიკლაურთა შთამომავლები ხევში.

მარიამ წიკლაური. IX კლასი

წიგნის შექმნის ისტორია

წიგნს დიდი ხნის ისტორია აქვს, ეპოქიდან ეპოქამდე მისი სახე იცვლებოდა. წიგნი დღესაც განიცდის ტრანსფორმაციას.

პირველყოფილი ადამიანის ე. წ. მხატვრობა ასე თუ ისე, ყელამ ვიცით. უძველესი დროიდან ჩვენამდე ბევრმა უცნაურმა ნივთმა მოაღწია, რომელთა დანიშნულების გაგებაც დღეს რთულია. მათ გასაგებად არქეოლოგები ანალოგიების პრინციპით ხელმძღვანელობენ.

შუმერულ თიხის ფირფიტებზე უძველესი ავტორები მითებსა და სხვადასხვა ტექსტებს აფიქსირებდნენ. შუმერული წიგნები დაუმუშავებელი თიხის ფირფიტებისაგან მზადდებოდა. ასეთი წიგნი დღევანდელ ადამიანს აგურს მოაგონებს. ინსტრუმენტს, რომლითაც სველ თიხის ფირფიტაზე ტექსტის დაფიქსირება ხდებოდა, კალამს უწოდებდნენ, იგი ლერწმის ღეროსაგან მზადდებოდა.

თიხის ფირფიტებს ეგვიპტური პაპირუსი მოჰყვა. პაპიურსს მოგვიანებით ბერძნები და რომაელებიც იყენებდნენ. პაპირუსი მცენარე პაპირუსის ღეროსაგან მზადდებოდა. პაპირუსის წიგნებს გრძელი გრაგნილების ფორმა ჰქონდა. ძვირფას პაპირუსის გრაგნილებს ყუთებში ინახავდნენ, რომლებიც ყდის ფუნქციას ასრულებდა.

პაპირუსი არც ისე მყარი ნივთიერებაა, ამიტომ საჭირო გახდა მისი გაუმჯობესება. წიგნის ფურცელი ცხოველის ტყავისაგან მზადდებოდა.

ამის შემდეგ ევროპელებმა, ჩინელებისაგან 400 წლის ჩამორჩენით, ქაღალდი გამოიგონეს, რასაც გუტენბერგის წიგნების საბეჭდი პრეისს გამოგონება მოჰყვა. თუკი ადრე წიგნები ხელით იწერებოდა, ახლა მათი ბეჭდვა გახდა შესაძლებელი. ამან წიგნის წარმოება საგრძნობლად გაამარტივა და გააიაფა, შესაბამისად, წიგნი ადამიანთა ფართო მასებისათვის გახდა ხელმისაწვდომი.

გუტენბერგის მიერ შემუშავებული ტექნოლოგია იმდენად მოხერხებული აღმოჩნდა, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანები ამ პრინციპით ქმნიდნენ წიგნებს. ახლა უკვე გამოიგონეს ელექტრონული წიგნები და მასიურად დაიწყო მათი დაშზადება. ელექტრონული წიგნი, იგივე კომპიუტერული ფაილი, რომლის წაკითხვაც კომპიუტერის ან სპეციალური მოწყობილობის საშუალებით არის შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში უფრო მეტი ელექტრონული წიგნი იყიდება, ვიდრე ნაბეჭდი.

მოამზადა ომარ ქობალიამ გიმნაზიის IX კლასის მოსწავლე

რედაქტორი მანონი გოგიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ წიკლაური, თემო გუჩუკური.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია- პანსიონი